01/04/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება ჯვრისთაყვანისცემის კვირიაკეს

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს.

განვლო დიდი მარხვის სამმა კვირამ. ამ კვირას ეწოდება ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე. ყოველი ადამიანი არის მატარებელი ჯვარისა და ღმერთმა ინებოს, რომ ბოლომდე მივიტანოთ ჩვენი ჯვარი.

ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი თხოულობს ღვთისაგან სხვა ჯვარს. უნდა ვიცოდეთ, რომ მძიმეა ჩვენი ჯვარი, მაგრამ უფრო მძიმეა, აუტანელად მძიმეა სხვისი ჯვარი.

საერთოდ, ადამიანის ცხოვრება უნდა გამოსახავდეს ჯვარს. ეს არის სწრაფვა ღვთისაკენ, მაღლა ზეცისაკენ და მოყვასისკენ და ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრებით უნდა გამოსახოს ეს ჯვარი. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველმა ჩვენგანმა, ყოველმა ადამიანმა, ბოლომდე მიიტანოს თავისი ჯვარი და გახდეს მკვიდრი სასუფევლისა. ამინ!

დღეს გვინდა გავახაროთ იეროდიაკონი იოსები (მიქაბაძე). მამა იოსები არის იეროდიაკონი, მას ჰყავდა ოჯახი და შემდეგ ის გახდა ბერი. დღეს იგი აღყვანილია არქიდიაკონის წოდებაში. აქსიოს!

დღეს ჩვენთან დასალოცად მობრძანებულები არიან და ილოცება საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია, ჭიდაობის ეროვნული ნაკრები და მისი პრეზიდენტი ბ-ნი გეგა გეგეშიძე. დალოცვილი და გამარჯვებული იყავით.

დღეს განსაკუთრებული დღეა. დღეს შეუსრულდა 80 წელი ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველ პრეზიდენტს. მძიმე იყო მისი ჯვარი, მაგრამ ღვთის მადლით, მან ბევრი სიკეთე გააკეთა ჩვენი ერისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს სული მონისა ღვთისა ზვიადისა.

ეხლა ჩვენ შევასრულებთ მისი სულის მოსახსენებელ პანაშვიდს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგვითენოს.

ჩვენთან არს ღმერთი!

http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9%E1%83%99%E1%83%90%E1%83%97-30/